#149 2015 წლის 3 აპრილი ქ. თბილისი

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ზოგიერთი კატეგორიის მოსამსახურეთა სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის №397 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ზოგიერთი კატეგორიის მოსამსახურეთა სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის №397 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/06/2014, 140080000.10.003.018017) შეტანილ იქნეს ცვლილება და დაემატოს „1^1“ მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი1^1

საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო პირობების გათვალისწინებით, სამსახურის უფროსი უფლებამოსილია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს კვებით უზრუნველყოფაზე უფლებამოსილი სხვა თანამშრომლები ამ დადგენილების პირველი მუხლის „ბ-ზ“ ქვეპუნქტებით დადგენილი ნორმების ფარგლებში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**